

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების
წლიური ანგარიშის შესახებ**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, დასახული და მიღწეული შედეგების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. ასევე მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	წლიური გეგმა(დამტკიცებული)	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	24 360.8	24 409.3	24 213.3
გადასახადები	8 290.0	8 290.0	8 501.9
გრანტები	13 533.6	13 582.1	13 737.1
სხვა შემოსავლები	2 537.2	2 537.2	1 974.3
ხარჯები	13 775.7	13 844.3	13 314.2
შრომის ანაზღაურება	6 961.3	6 975.6	6 937.6
საქონელი და მომსახურება	4 926.1	4 820.5	4 584.8
პროცენტი	41.1	41.1	41.1

სუბსიდიები	251.0	249.6	225.1
გრანტები	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1001.0	999.6	849.3
სხვა ხარჯები	595.2	757.9	676.3
საოპერაციო სალდო	10 585.1	10 565.0	10 899.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	13 123.0	13 090.7	10 174.7
ზრდა	13 462.2	13 429.9	10 349.0
კლება	339.2	339.2	174.3
მთლიანი სალდო	-2 537.9	-2 525.7	724.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 620.9	- 2 608.7	641.5
ზრდა	0	12.3	3 262.5
ვალუტა და დეპოზიტები		12.3	3 262.5
კლება	2 620.9	2 621.0	2 621.0
ვალუტა და დეპოზიტები	2 620.9	2 621.0	2 621.0
ვალდებულებების	-83.0	-83.0	-82.9
ზრდა			-
საგარეო			-
საშინაო			-
კლება	83.0	83.0	82.9
საგარეო			-
საშინაო	83.0	83.0	82.9
ბალანსი	0	0	0

2022 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი

შეადგენდა 2 621.0 ათას ლარს, ხოლო 2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3 262.5 ათასი ლარი.

მათ შორის: საბიუჯეტო სახსრებით 522.8 ათასი ლარი, ხოლო განკარგულებებით 2 739.7 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	წლიური გეგმა(დამტკიცებული)	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	24 700.0	24 748.5	24 387.6
შემოსავლები	24 360.8	24 409.3	24 213.3
არაფინანსური აქტივების კლება	339.2	339.2	174.3
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-		-
გადასახდელები	27 320.9	27 357.2	23 746.1
ხარჯები	13 775.7	13 844.3	13 314.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	13 462.2	13 429.9	10 349.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-		-
ვალდებულებების კლება	83.0	83.0	82.9
ნაშთის ცვლილება	- 2620.9	- 2 608.7	641.5

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 27 369.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27 008.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98.7 %.

I შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 24 409.3 ლარი ფაქტიურად 24 213.3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 99.2 % შეადგინა

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 8 501.9 ათასი ლარი, გეგმის 8 290.0 ათასი ლარის 102.6 %-ს შეადგენს.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2 413.0 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 2 270.0 ათასი ლარის 106.3 %- შეადგენს. ხოლო

დამატებითი ღირებულების გადასახადი 6 088.9 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 6 020.0 ათასი ლარის 101.2 %-ს შედგენს.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 13 737.1 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 13 582.1 ათასი ლარი(101.2 %) მათ შორის: გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 13 048.4 ათასი ლარი; მათ შორის:

მიმდინარე 2 463.8 ათასი ლარი; მათ შორის: სპეციალური 1 450.0 ათასი ლარი, მიზნობრივი 1 013.8 ათასი ლარი; კაპიტალური 10 584.6 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 1 778.6 ათასი ლარი, კაპიტალური 6 615.1 ათასი ლარი და 2 190.9 ათასი ლარი სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 688.7 ათასი ლარი

III სხვა შემოსავლები--დაგეგმილი იყო 2 537.2 ათასი ლარი, შემოსულია 1 974.3 ათას ლარის მოცულობის, რაც დაგეგმილის 77.8 %-ს შეადგენს.

შემოსავლები საკუთრებიდან: 1656.7 ათასი ლარი; მ / შორის: პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 27.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 30.0 ათასი ლარი, (91.3 %.)

დივიდენდები-0 ათასი ლარი

რენტის სახით მოზილიზებულია 1 629.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 2 326.8 ათასი ლარი 70.0 %-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 527.6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 101.7 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 151.0 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 62.8 ათასი ლარი.(41.6 %) მ/ შორის:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 57.5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 45.1 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 12.4 ათასი ლარი.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 5.3 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 230.7 ათასი ლარი შეადგინა.

ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 24.1 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 23.3 ათასი ლარი, ხოლო წინა წელში გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 0.8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 174.3 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 54.4 ათასი ლარი მიღებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 119.9 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27 357,3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 23 746.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.8 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 975.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6 937.2 ათასი ლარი. რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4 %-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 857.1 ათასი ლარი

ხელფასები 857.1 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 857.1 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 857.1 ათასი ლარი

2. მერია : შრომის ანაზღაურება 1 949.6 ათასი ლარი

ხელფასები 1 949.6 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 1 949.6 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 1 949.6 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 139.9 ათასი ლარი

ხელფასები 139.9 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 139.9 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 139.9 ათასი ლარი

4. კურორტი ბახმარო: შრომის ანაზღაურება 28.7 ათასი ლარი

5. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია:

შრომის ანაზღაურება 53.5 ათასი ლარი

6. დასუფთავება ნარჩენების გატანა:

შრომის ანაზღაურება 426.2 ათასი ლარი

7. მწვანე ნარგავების მოვლა-პარტონობა:

შრომის ანაზღაურება 56.5 ათასი ლარი

8. სკოლამდელი განათლების დაფინანსება:

შრომის ანაზღაურება 1 386.5 ათასი ლარი

9. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება: შრომის ანაზღაურება 1 936.5 ათასი ლარი

10. საზოგადოებრივი ჯანდაცვა: შრომის ანაზღაურება 102.7 ათასი ლარი.

„საქონელი და მომსახურების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 4 820.5 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 4 584.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.1 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების” კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1 025.6 ათასი ლარი;

✓ მივლინებები - 33.2 ათასი ლარი; მ/ შორის ქვეყნის გარეთ 15.7 ათასი ლარი; ქვეყნის შიგნით 17.5 ათასი ლარი.

✓ ოფისის ხარჯები - 998.9 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები

21.0 ათასი ლარი, მერია 111.4 ათასი ლარი, თავდაცვას 5.2 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 484.7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვა 51.1 ათასი ლარი, განათლება 202.3 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 115.1 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა 8.1 ათასი ლარი.

□ წარმომადგენლობითი ხარჯები - 80.5 ათასი ლარი;

კვების ხარჯები 183.4 ათასი ლარი

სამედიცინო ხარჯები 2.4 ათასი ლარი

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისდა პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 46.4 ათასი ლარი.

□ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-

შენახვის ხარჯები - 1 698.5 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 142.2 ათასი ლარი; მერია 237.3 ათასი ლარი, თავდაცვა--10.5 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 7.4 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა 383.7 ათასი ლარი; განათლება 757.5 ათასი ლარი; საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 115.4 ათასი ლარი. საზოგადოებრივი ჯანდაცვა 44.5 ათასი ლარი .

სხვადანარჩენი საქონელი და მომსახურება-- 515.9 ათასი.

„პროცენტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 41.1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 41.1 ათასი ლარი შეადგინა.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 249.6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 225.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.2 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- განათლების ხელშეწყობა - 37,6 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა- 3.2 ათასი ლარი;
- რელიგია--10,0
- სოციალური პროგრამების თანადაფინანსება - 174.3 ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 999.6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 849.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 85.0 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ლტოლვილთა დახმარება - 5.8 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 21.8 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 558.9 ათასი ლარი
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 224.4 ათასი ლარი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 5.3 ათასი ლარი.

თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 22.0 ათასი ლარი, ხოლო

ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 11.1 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 757.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 676.3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 89.2 %ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

საკრებულოს ხარჯები ---104.3 ათასი ლარი

მერია 21.8 ათასი ლარი

მგეფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა--
2.2 ათასი ლარი

კეთილმოწყობის ღონისძიებები --6.3
ათასი ლარი

- სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 115.1 ათასი ლარი.

განათლება --1.0 ათასი ლარი.

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
123.4 ათასი ლარი;

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება
- 173.1 ათასი ლარი;

ლტოლვილთა დახმარება --0.4 ათასი ლარი;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება--0.2 ათასი ლარი;

➤ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 3,6 ათასი ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების დახმარება 124.4 ათასი ლარი

გენდერული თანასწორობა 0.5 ათასი ლარი

ვალდებულებების კლების მუხლიდან დაზუსტებულმა გეგმამ 83,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 82,9 ათასი ლარია ანუ 99,9 %.

2022 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	4 131.2	4 065.8
7.20	თავდაცვა	174.7	168.4
7.40	ეკონომიკური საქმიანობა,	12 992.5	10 121.8
7.50	გარემოს დაცვა	1 298.8	1 272.2
7.60	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	542.0	540.4
7.70	-ჯანმრთელობის დაცვა,	188.6	179.1
7.80	-დასვენება და კულტურა,	3 431.4	3 335.6
7.90	განათლება	3 252.6	2 893.3
7.10	სოციალური დაცვა	1 345.4	1 169.5
	სულ ჯამი	27 357.2	23 746.1

სარეზერვო ფონდი

2022 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 152.3 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 149.2 ათასი ლარი(97.9 %) აქედან 6.2 ათასი ლარი მიიმართა საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობაზე (წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოება); 10.0 ათასი ლარი მიიმართა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად არამალფუჭებადი პროდუქტების, მედიკამენტების და სანიტარულ ჰიგიენური საშუალებების შესაძენად; 5,9 ათასი ლარი მიიმართა კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის; 127,1 ლარით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების დახმარება გაეწია 445 ოჯახს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებია

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
2. დასუფთავება და გარემოს დაცვა;
3. განათლება;
4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დაფინანსებულია 10 662.2 ათასი ლარით რაც გეგმის (13 534.5 ათასი ლარი) 78.8 პროცენტია;

2.1 (02 01) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა

დაფინანსებულია 5 474.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (6 232.4 ათასი ლარი) 87.8 %-ს შეადგენს.

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		5474.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება და დასრულდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს სამონასტრო კომპლექსთან საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები. სოფელ კოხნარი-საჭამიასერის გზის რეაბილიტაცია, სოფელ ჩხაკაურაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა, სოფელ ქვაბლაში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის (ტბისყურის მიმართულებით) სამუშაოები, სოფელ ნაკადულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ ზემოფარცხმაში(მეფარიშვილების უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ ჯვარცხმა-გორაბერეჟოულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის ქუჩის I ჩიხის რეაბილიტაცია, სოფელ სამებაში გზის რეაბილიტაცია, სოფელ შუაამაღლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ დაბლაციხეში ე.წ. ფუნედან სკოლამდე, საყვავისტყის მიმართულებით ადმინისტრაციულთან და ჩხიკვაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. დაბლაციხე - ბუკისციხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია სოფელ შუა ამაღლებაში, ტაძართან და</p>		

გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სოფელ ქვაბლა-ზოტის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა. დაბა ბახმაროში შიდა გზების რეაბილიტაცია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ გუთურში ვაცეიშვილების, ლორიების და ჩხიკვიშვილების უბანსი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. დუმბაძის ქუჩის პირველ შესახვევში ა/ბეტონის მოწყობა. სოფ. ერკეთის ცენტრიდან შუბნის ტაძრამდე გზის რეაბილიტაცია. სოფ. გოგოლესუბანში შიდა გზების რეაბილიტაცია. სოფელ ხევში შიდა გზების რეაბილიტაცია. სოფ. ხიდისთავში შიდა გზების რეაბილიტაცია. გურიის ქუჩაზე ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები. დიდივანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების რეაბილიტაცია. ბუკისციხის ადმ. ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის , ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ვანსა და ზომლეთში შიდა გზების რეაბილიტაცია. ერკეთის ადმ. ერთეულში ქვემო ონჭიქედში გზების რეაბილიტაცია.

დაგეგმილი საბოლოო შედეგი		რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა		მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილი მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული უსაფრთხო გადაადგილება.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ახლად დაგებული და რეაბილიტირებული გზების სიგრძე(კმ)		20	18,5	7,5%	

- 2.2 (02 02) გარე განათება დაფინანსდა 470.9 ათასი ლარით, რამაც გეგმის (471.4 ათასი ლარი) 99.9 პროცენტი შეადგინა.

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში		
	02 02		470,9		
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი				
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა და ელექტრო ენერჯის ხარჯის დაფინანსება. რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება და ზოგ შემთხვევაში ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. 				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.	მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის მუშაობა და შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული გარემო		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი	განმარტება		
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
		75	75	0%	

2.3 (02 03) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 2 367.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (3 716.6 ათასი ლარი) 63.7 %.

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		2367,3
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდა არსებული და ახალი წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაცია, ჩატარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები და ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.				
დაგეგმილი შედეგი	საბოლოო	მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის მოწყობა;	მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებულ ია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, რეაბილიტირებულ ი და მოწყობილია წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტირებულ ია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.	
დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი	საბოლოო	შედეგის	მიღწეული შეფასების ინდიკატორი	შედეგის	განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილები ს მაჩვენებელი (%/აღწერა)	
პროექტების რაოდენობა		10	8	20%	

2.4 (02 04) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

ამ მიზნით გამოიყო სულ 730.0 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 703.2 ათასი ლარი.(96.2 %)

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები		დაფინანსება ათას ლარში
	02 04			703,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (საერთო კრებაზე) მოსახლეობასთან შეხვედრისას, შეთანხმებით განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება.			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის მოთხოვნები.	მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის მოთხოვნები.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
პროექტების რაოდენობა		105	100	4,7%

2.5 (02 05) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა დაფინანსდა 183.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 189.4 ათასი ლარის 96.9 % ია.

დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		183,5

პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2022 წელს დაგეგმილი დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	შესრულებული და წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო პროექტების მაღალი ხარისხი;	მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის მაღალი ხარისხი.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება		
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
პროექტების რაოდენობა		150	173	0%	

2.6 (02 06) სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 2022 წლის განმავლობაში 1 393.1 ათასი ლარი მოხმარდა, რაც გეგმის 2 124.3 ათასი ლარის 65.6 %.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		1393,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სტიქიის შედეგების აღმოფხვრა, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	მიღწეული შედეგი	შექმნილია პირობები სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილებების მაჩვენებელი (%/აღწერა)
პროექტების რაოდენობა		0	33	

2.7 (02 07) ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოიყო სულ 70.4 ათასი ლარი. პროგრამა დაფინანსდა 69.5 ათასი ლარით (98.7 %)

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		69,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შემდგომად დაგეგმულ მოწესრიგდა კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურა; უზრუნველყოფილი იქნა კურორტ ბახმაროს დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული პირობები და გაზრდილი ტურისტების რაოდენობა მ.შ. ზამთრის სეზონზეც.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;	მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის

					მოწესრიგება; გაზრდილია ტურისტების რაოდენობა.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორ ის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
პროექტების რაოდენობა		1	1	%	

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

3.1.პროგრამა დაფინანსდა 1 272.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 1 298.8 ათასი ლარის 98.0 % ია.

პროგრამის დასახელება	კო დი	დასუფთავება და გარემოს დაცვა	დაფინანსებ ა ათას ლარში
	03 00		1272,2
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორცილდა დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმ. ერთეულებიდან (სადაც განთავსებულია 317ერთეული ნაგავშემკრები ურნა) ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორცილდა დაბა ბახმაროდან სეზონის პერიოდში ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად და ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორცილდა დაბის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში პერიოდულად ხორცილდება მუნიციპალიტეტში შემოსასვლელ და გასასვლელ მთავარ გზაზე ასევე ბახმაროს სეზონზე კურორტისკენ მიმავალ გზაზე გადაყრილი ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების</p>		

მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების გაწმენდა, დასუფთავება, მოცეკვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასები, სეზონურად საჭიროებისამებრ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროულად განხორციელდა ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის დროს განხორციელდა ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება და ჩამონაშალებისაგან გაწმენდა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ გასვლა-ფორმირება, შებარვა, გაცეკვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.

ასევე განხორციელდა დუმბადის ქუჩაზე და კოსტავას ქუჩაზე ხე-მცენარეების შეთეთრების სამუშაოები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგი		ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება		მიღწეული შედეგი	შექმნილია ეკოლოგიურად სუფთა გარემო
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილები ს მაჩვენებელი (%/აღწერა)	
დასუფთავებული ტერიტორიის წილი		70%	70%	0%	

განათლება 04 00

4. განათლების ღონისძიებები დაფინანსებულია 2 893.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (3 252.6 ათასი ლარი) (89.0 %) მათ შორის განხორციელდა შემდეგი სახის ქვეპროგრამები:

4.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსებას მოხმარდა 1 885.4 ათასი ლარი.(04 01)გეგმის 1 894.3 ათასი ლარის 99.5 %

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში	
	04 01		1885,4	
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემო შეიქმნა, უზრუნველყოფილი იქნა მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა.</p> <p>უნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 535 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა დააფინანსა ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.</p>			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; სტანდარტების შესაბამისი გარემო		მიღწეული შედეგი	გაუმჯობესებულია საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი; სრულყოფილია განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი	
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
აღსაზრდელო რაოდენობა		535	505	5,6%
			განმარტება	

4.2 განათლების სისტემის ხელშეწყობის(04 02) გაიხარჯა 771.7ათასი ლარი.

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების სისტემის ხელშეწყობა			დაფინანსება ათას ლარში
	04 02				771,7
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია				
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდა მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	საგანმანათლებლო და სააღმზადებლო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.		მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და სააღმზადებლო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეთა რაოდენობა		270 800	270 000	0,3%	

4.3 საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა.(04 04) ამ კუთხით დაფინანსებამ

შეადგინა 0.7 ათასი ლარი.

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა		დაფინანსება ათას ლარში
	04 04			0,7
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდა მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დადასაქმებულ თანამშრომელთა ეფექტიანობის გაზრდა		მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილ ია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დადასაქმებულ თანამშრომელთა ეფექტიანობა.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილებების მაჩვენებელი (%/აღწერა)
პროექტების რაოდენობა		1	1	

4.4 საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია(04 05)

დაფინანსდა 139.5 ათასი ლარით, გეგმის 148.5 ათასი ლარის 93.9 %

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	04 05		139,5

პროგრამის განმახორციელებელი	განათლება				
